



1  
1957

№ 16

ავიხორ თბილისი.

1957

ბავშვთა

ბავშვთა ჟურნალი XXXV წელი 2 მან.

მელოპიაჟანი

ნახ. გ. ლოლუასი

მიმდინარე წლის 6 თვეში გაყიდული და დაკლული იქნა 64.000 გოჭი, რომელთა საშუალო წონა 5,5 კილოგრამი იყო. კოლმეურნეობებს ამდენი გოჭი რომ გაესუქებინათ, რესპუბლიკა დამატებით მიიღებდა 5.000 ტონა ხორცს

(გაზეთებიდან)

— ვაიმე, შვილებო, ვინ დაგწყევლათ არ გაეზარდეთ თქვენს პატრონსაო!

# სიკეთითი წიგნითი სწავლის ქა კომოქმის იქმონისთვის

ამას წინათ ხანგრძლივად ვიმოგზაურეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ანდაზებისა და გამოთქმების წარმოშობისა და განვითარების დასადგენად. მრავალი საინტერესო ცნობა ამ მხრივ მოგვაწოდეს მწყემსებმა და მეცხოველეობის სხვა მუშაკებმა, რომელთა საქმიანობაც ხშირად ქცეულა მრავალი ანდაზის შექმნის საბაზად. ქვემოთ ვაქვეყნებთ ზოგიერთ ანდაზასა და გამოთქმასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს. სტილი და-  
ცულია პირველწყაროს მიხედვით.

ერთ ფერმაში გამგედ ვინმე სევასტი მუშაობდა. ცოტა ზარმაცი იყო სევასტი, ჭამა და ძილი უყვარდა, თვითონ სუქდებოდა და ცხვრები კი მქლევედბოდნენ. ერთი სიტყვით, ზამთარ-ზაფხულ ხელს ითბობდა. იყო ერთხანს არხეინად. უცებ, ერთ დღეს მგელივით მოვარდა ფერმაში რევიზორი და შეიქმნა ერთი წიოკობა. ნათქვამია: კოკა წყალზე გატყდებოა. ფერმის გამგეს ფერი ეცვალა, არ იცოდა რა წყალში ჩავარდნილიყო. შეფიქრიანდა სევასტის მამა აბრამიც, როცა შეშინებული შვილი დაინახა.

— შემიწირავს ეს რევიზორი, უდავოდ შემიწირავს.— მოთქვამდა სევასტი.

ჭკვიანი კაცი იყო აბრამი. ჩემი შვილი რომ შეიწიროს რევიზორმა, აბა რა თავში იხლის? არც ძვალი ვარგამისი, არც ტყავი და არც ხორცი. ქრთამი ხომ ჯოჯოხეთს ანათებს, აედგები და ბატკანს შევწირავ რევიზორს, ხორცი ხორცად ეამება, ძვალსაც იოლად დახრავს და ტყავსაც გამოიყენებსო.

ასეც მოიქცნენ. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, რევიზორსაც ეს უნდოდა.

უაკირდათ მწყემსებს: ამდენი ცოდვები ჰქონდა სევასტის და თავი როგორღა დაიძვრინაო?

— მამა აბრამს უცოდველი ბატკანი ჰყავდა და იმან უშველაო.— უთქვამს ვილაცას. ამის შემდეგ ქრთამით გადარჩენილ კაცს მამა აბრამის ბატკანს უწოდებენ.



ერთხელ, თურმე, მელორეობის ფერმაში კომისია მოვიდა— აბა გვიჩვენეთ, ღორებსა და გოჭებს როგორ უვლითო. ჩინებულადო, — მიუგეს მომვლელებმა. ამ დროს, სად იყო და სად არა, საღორედან ერთი გოჭა გამოვარდა, შიმშილისაგან გაძვალტყავებული საცოდავად ჭყიოდა.

ეს რაღა არის, ფიცი მწამს და ბოლო მაქვირვებსო, გაიოცეს კომისიის წევრებმა.

ეს მეცამეტე გოჭიაო. მიუგეს მელორეებმა, ნაბოლარა გამოვიდა, ღორს თორმეტი ძუძუ აქვს, ეს კი სულ დამშეულია და ყველგან დინგი უნდა გამოყოსო.

ამის შემდეგ, ვინმე უადგილო ადგილას რომ რაიმეს წამოაყრანტალეებს, მეცამეტე გოჭს ეჩახიან.

ერთი თავმჯდომარე იყო, დიდი გულუბრყვილო და ბეცი ვინმე, ფერმის გამგეს ყველაფერში ენდობოდა. ეს უკანასკნელი კარაქს რომ შედღვებავდა, დოს თავმჯდომარეს აყლაპინებდა.

სამაგიეროდ კარაქი, ერბო და ყველი თვითონ მიჰქონდა სახლში. ულაპა და ულაპა თავმჯდომარემ დო, უზიდა და უზიდა ფერმის გამგემ კარაქი, ერბო და ყველი თავის ცოლს, თვითონაც დამრგვალდა და ცოლ-შვილიც დაასუქა. ეგონა თავი ქუდში ჰქონდა, მაგრამ დახეთ უბედურებას— ვილაც რევიზორებმა აუტკივარი თავი აატკივეს, ვნახოთ სად მარხია ძაღლის თავიო, და ნახეს კიდევ.

ამდენი ფრბო, კარაქი და ყველი რომ გაუზიდნია ფერმის-გამგეს, ალბათ შენც გირეგია ხელიო, უთხრეს თავმჯდომარეს.


თავმჯდომარემ ქვა ააგდრ და თავი შეუშვირა, არაო, მე მარტოდოს ვყლაპავდიო.

ჰაიტ, შე დოყლაპიო! შეუძახეს მას. იმ დღიდან ყველა კაცს, ვინც თავის ცხვირწინ ვერაფერს ხედავს, დოყლაპიას უწოდებენ.

ერთხელ საზამთრო საძოვრებზე ფარებს მგელი შეეჩვია. ერიდებოდი დოლოსა, დაგიხვდა ღობის ბოლოსაო, ამბობდნენ მწყემსები და მგელს ვერაფერს უხერხებდნენ. იფიქრეს, იფიქრეს და გამოსავალიც მონახეს: ცხვარი გინდ მგელს შეუქამია და გინდ მგლისფერ ტურასაო, ადგნენ და დაიწყეს ცხვრების დაკვლა, რაღა მგელს შეეაქამოთ, ბარემ ჩვენ შევირგოთო, და აშიშინებდნენ მწვადებს, მადიანად შეექცეოდნენ და ზედ ჟიპიტაურსაც აყოლებდნენ. მაღა ჭამაში მოდისო, და სულ ორიოდ თვეში ფარები განახევრდა. მწყემსებში ერთი ახირებული და აყვია კაცი ერია, ვინმე ნასყიდა. დაკლული ცხვრების საქმელად დანა პირს არ უხსნიდა. ბოლოს ვერ მოითმინა ნასყიდამ და აღშფოთდა: ხალხო, რას შვრებით, ჩვენ ისე მოგვდის, მგელს მგლობას სწამებდნენ და ტურამ ქვეყანა ამოავდოო. აბა, რომელ ფარებში გაუწყვეტიათ მგლის შიშით ცხვარიო?

შეკრიბეს, რედაქცია არ გაუკეთეს და კომენტარები არ დაურთეს  
გ. ძათაშაძემ და გ. ცხვარიანაშვილმა





— ყველა გზა შენსკენ მოდის, ჩემო რომანოვ!  
— კი მარა, რომი ხომ არა ვარ, შე კაცო!  
— არა, მაგრამ რაღაც გაქვს „რომისებური“.



ფეხბურთის სეზონთან დაკავშირებით ეწყობა ექსკურსიები მცხეთასა და დიღომში. მონაწილეობისათვის მარტო სურვილი არ კმარა: საჭიროა ფეხბურთის ბილეთის უქონლობა და სტადიონის გარშემო საეჭვოდ ხეტიალი. მარშრუტის მიზანია, ააცილოს ახალგაზრდობა იმ უსიამოვნო გრძნობას, რასაც თბილისის «დინამოს» მორიგი წაგება გამოიწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ცხელა, მსურველთა რიცხვი არ კლებულობს. სალამოს, ღრმა შთაბეჭდილებებით დატვირთული ახალგაზრდობა ფეხით ბრუნდება მშობლიურ ქალაქში. დიღმელი და მცხეთელი ახალგაზრდები კი რაციონალურად იყენებენ ტრანსპორტის ამ სახეს.

\* \* \*

ანონსი

ახალი სათეატრო სეზონის წარმატებით ჩატარებისა და პრემიერებზე მაყურებელთა ბოლომდე დარჩენის მიზნით თეატრის ადმინისტრაციებმა უნდა გამოაკრან შემდეგი შინაარსის განცხადება: «მესამე ზარის შემდეგ მაყურებლები დარბაზიდან არ გაიშვებიან!»

\* \* \*

«კვირას, ოპერისა და ბალეტის თეატრში ეწყობა მწერალ ჟამიერაშვილის დაბადებიდან 50 წლისა და მოღვაწეობიდან 45 წლისთავისადმი მიძღვნილი სალამო.

II განყოფილება წარმოდგენილი იქნება დიდი საკონცერტო პროგრამით. მაყურებელთა სმენას დაატკბობენ ოპერის თეატრის ნიჭიერი სოლისტები, თავის შემოქმედებით სიტყვას იტყვიან რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის და სხვათა სახელობის თეატრების ცნობილი წარმომადგენლები, ოდნავ შეცვლილი პროგრამით გამოვლენ ესტრადისა და ფილარმონიის ძალები, თავის ოსტატობას გვაჩვენებენ მოცეკვავენი, სიმძიმეების ამწევენი, ჟონგლიორები და სხვ.

დასაწყისში წაკითხული იქნება მკირე მოხსენება ჟამიერაშვილის დიდი კხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ი. არალიშვილი

გამოქანაზა

# კიდევ უფრო უფხვიარო უნდა იყო!

დღეს არავის აოცებს სასადალო უოფიციატორდ, მალაზია— უგამყიდველოდ, მაგრამ ამ მომხიბლავ აგარაკზე თვითმომსახურებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. აბა წარმოიდგინეთ ფოსტა უფოსტალიონოდ, ეს მაშინ, როდესაც ყველა ქუჩას თავისი სახელწოდება და ყველა სახლს თავისი ნომერი აქვს, ხოლო ყველა მოაგარაკეს — გვარი, სახელი და, ასე გასინჯეთ, მამის სახელიც კი. აბანოს ნუ იკითხავთ.


შესვლისთანავე ეცადეთ სწრაფად დაიკაოთ შხაპი, რადგან აქ მხოლოდ ორად ორი მუშაობს და მსურველი ბევრია, შიგ კი მხოლოდ შვიდს უშვებენ. ძვირფას აბანო ყოფილაო, იტყვიო, გამოცანა გერგებათ, საერთო აბანოს 5-მანეთიან ბილეთს ბახმაროს გარდა სხვაგან სად შეხვდებით! კიდევ ერთი კარგი საქმისათვის მოუკიდიათ ხელი ბახმაროში. ვთქვათ, ნახეთ რაიმე ფილმი, თუნდაც „დაუსრულებელი ამბავი“, ისე რომ დასასრული არ ჰქონდეს, ე. ი. შეწყდეს შუა ადგილას, მაყურებელი ადგეს ალუფითობლად და დატოვოს დარ-



ბაზი. აბა რა მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ნაწარმოებს, თუ იგი ფანტაზიას არ ამოქმედებს, და სწორედ ჩვენც აქა ვართ. დაუსრულებელი ამბავი საშუალებას აძლევს ადამიანს იფიქროს, გამოუძებნოს ამ ამბავს მრავალნაირი ფინალი. ფილმზე რაც გინდათ ისა თქვით, ხოლო კინომომსახურებაზე ცუდს ნურაფერს იტყვიოთ. ვინ იცის, იქნებ ასეთ მომსახურებას დასასრული მიეცეს და ეს კარგი საქმე დაიკარგოს.

კიდევ ბევრი რამ არის კარგი ბახმაროში. მარტო ის რად ღირს, რომ განათების ნაკლოვანება და დამსვენებელი იძულებულია შებინდდებოთ თუ არა, დაიძინოს. აბა ძილის გარეშე დასვენება ვის სმენია. ან ავტობუსი რომ არ მუშაობს, რაც საშუალებას აძლევს მოაგარაკეებს, ფეხით შემოიარონ ეს საარაკო აგარაკი და დატკბნენ მისი მშვენიერებით, ან... ეჰ, ქების ნაცვლად პირიქით არ გამოვიდეს, თორემ ბახმაროს მესვეურები იტყვიან— ფაქტები სინამდვილეს არ შეეფერებაო.

ნ. აროგელიძე



— მშვენიერი ტილოა!  
— აბა! რა სტოლსაფარი გამოვიდოდა!



# პრაქტიკული რეკვიზიტები

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საცდელი სადგურებისა და ლაბორატორიების მუშაკების მიერ ნაწილი მოწყობილია პრაქტიკას.

ნახ. გ. ფირცხალავასი

(გაზეთებიდან)



თუმცა კაცი აღმოჩენით როცა ნახავს, რომ მკვლევარი ზოგჯერ აქაც გაკვირდება, საკვლევს ფხიზლად აკვირდება!

ლაგება ჩააწერინა.—ასე, თუ ეტიუდის პირველ სვლას მეტყვი, აგურს მოგცემ, არადა არაფერს მიიღებ...

მთხოვნელები დიდი ხანია იცდიდნენ. უცებ მმართველმა ხარი დარეკა. მთხოვნელებმა ამოისუნთქეს. მდივანი შევიდა. კალისტრატე შემოსულს შეეკითხა:

— ჯადრაკს თუ თამაშობ?

მდივანი შეწუხდა:

— არა, არ ვთამაშობ.

კალისტრატემ დაცინვით ახედა და ანიშნა თავისუფალი ხარო.

მთხოვნელებმა მდივნის თვალებიდან სანუგეშო ვერაფერი ამოიკითხეს და წუწუნს უმატეს. მაგრამ მდივანი უფრო წინდახედული აღმოჩნდა. ასე გაიფიქრა, მე თუ არ ვიცი თამაში, ეგებ მთხოვნელებიდან ვინმემ იცოდეს, აღმოვაჩინე, დაუკითხავად შევეშუვებ და ამით უფროსს გავახარებო. ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღო, მთხოვნელებს მიმართა:

— თქვენში ვინც ყველაზე კარგად თამაშობს ჯადრაკს, ნებას მივცემ შევიდეს.

მთხოვნელთა შორის ერთი მეორე თანრიგის მოქადრაკე აღმოჩნდა, რომელმაც კაბინეტში შესვლის უპირატესობა სათანადო მოწმობით დაამტკიცა.


დიღხანს არ შეჩერებულა კაბინეტში მეორე თანრიგოსანი მოქადრაკე. არავინ იცის იქ რა ილაპარაკეს და რა მოიმოქმედეს, მხოლოდ ესაა, ამ შეხვედრის შედეგად შავულვაშიანმა მდივანმა სამსახური დაჰკარგა, ჯადრაკი ტრესტში აიკრძალა და მთხოვნელებისათვის მმართველის კარები ფართოდ გაიღო. თანამშრომლები ამჩნევდნენ, რომ კალისტრატე ყველაფერს ისე აკეთებდა, თითქოს რაღაცის ეშინიაო.

და აი, აღსრულდა...

ტრესტს ისე ვერ შეძრავდა მიწისძვრა, ან თავზე დაცემული ყუმბარა, როგორც ეს გააკეთა გაზეთში მოთავსებულმა ერთმა პატარა წერილმა. რა არ ეწერა შიგ: ეწერა, რომ ტრესტის მმართველი მთხოვნელებს საათობით აყურუშუტებს, თვითონ კი ამ დროს ჯადრაკით ერთობა. ერთი სიტყვით...



## გამოსლის შედეგ



ნახ. ირ. გორდელოძისა

კალისტრატე კი კაბინეტში იჯდა, სახეგაფითრებელი და თვალცრემლიანი წუწუნებდა:

— ეს საქმეა?...სამი დღეა მოსვენება არა მაქვს, გაგწყლი კაცი, ყველა მთხოვნელი მივიღე, ყველა შემოსულ ქალაქს გავეცი პასუხი, ჯადრაკიც ავკრძალე, ამაზე რატომ არაფერს ხსწერენ...

გასაკვირი არ იყო, რომ იმ დღიდან კალისტრატემ ჯადრაკი შეიძულა, ხოლო ცხოვრებაში შეხვედრილ თანრიგოსან მოქადრაკის წინაშე კი თრთოდა და კანკალებდა, რადგან ყველა მათგანში რატომღაც გაზეთის კორესპონდენტს ხედავდა...

გივი გოგიჩაიშვილი

— წავალ, დავლევ, იქნებ ორი სამად მომეჩვენოს!

## საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის

კალისტრატეს ამ ქვეყნად ყველაზე მეტად ორი რამ უყვარდა: ცოლი და ჯადრაკი. და ეს სიყვარული გახდა სწორედ მისთვის საბედისწერო.

იმ ავადმოსახსენებელ დღეს ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო. ჩვეულებებისამებრ დაგვიანებით მოვიდა კალისტრატე სამსახურში. თავაწეულმა გაიარა მის მომლოდინე მთხოვნელებს შორის და კაბინეტში დინჯად შევიდა. გაზეთების კითხვა არ უყვარდა. ახალი ჟურნალები გადაშალა. უხალისოდ ფურცლავდა. უცბად უკანასკნელ გვერდს დააშტერდა. იქ საქადრაკო ეტიუდი იყო მოთავსებული.

კალისტრატემ შუბლი შეიკმუხნა და ფიქრს მიეცა. ფიქრობდა და მაინც არაფერი გამოსდიოდა.

რატომღაც მზერა მაგიდაზე დაგდებულ მიმართვას დაადგა. ის-ის იყო მომართვას იმ უჯრაში უპირებდა გადაძახებას, საიდანაც არცთუ ისე იოლი იყო მისი ამოსვლა, რომ მომართვის ბოლოში დასმულმა ხელმოწერამ მისი ყურადღება მიიპყრო. შემდეგ ქალაქს თვალთ მალდა აპყვა, მომართვის დამწერის ტელეფონის ნომერი მონახა, მილაკი აიღო და ნომრები აკრიფა.

— აირონდო! — ჩასძახა მილაკში. — შენი შუამდგომლობა მივიღე... შემდეგ, შემდეგ... შენ ხომ კარგი მოქადრაკე ხარ? აბა, თუ ბიჭი ხარ, ორი პაიკით, ეტლისა და პაიკის წინააღმდეგ ყაიმი გააკეთე... შენ აგური გინდა, მე — საქადრაკო ეტიუდის პასუხი. აბა, ჩაიწერე. — და ეტიუდის ფიგურების გან-

**ძეაო ნიანგო!**

(ქ. ხაშური)

განა ისეთი მისაწიფებელია ჩვენი ქალაქი, რომ ზურგი გვაქციო და ჩვენი ტკივილი გულში არ მოგხვდეს? რატომ და რისთვის? ხაშური ხომ გასაღებია რკინიგზებისა? აბა რას გვერჩი: ქეთილმოწყობაზე ვერ დაგვემდურები, მოსახლეობისა თუ წარმოება-დაწესებულებების რიცხვზე საყვედურს ვერ გვეტყვი. ერთადერთი, რითაც დაჩაგრული ვართ, ეს წყალია; სასმელი წყალი.


რა, გაგიკვირდა? პირველად გესმის, რომ ხაშურს წყალი არა აქვს? დიახაც საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ იგი მწყურვალე ქალაქია. ხაშურს წყალი ეძლევა «გრაფიკით». ამას მოსდევენ დაუსრულებელი გაუგებრობანი, ხალხის გაცდენა, წვალუბა, უსიამოვნება.

ახლა ისიც გაგიკვირდება, «საქკომუნპროექტმა» მდინარე ნეძფურას შემოყვანა რომ დააპროექტა, ის გეგმა რა იქნაო?!

რა იქნებოდა, ძეაო ნიანგო, პროექტი ქალაქ-ზე დარჩა, წყალი—ნეძფში, ხაშურს კი ისევ ხანა უშრება.

აბა, ერთი გვიჩიე—რა გზით მოვიკლათ ხაშურელებმა წყურვილი?

**8. ღალღელი**




**გვბილო ნიანგო!**

შენი გამძლეობა გვაკვირებს. ამ გამოცდების პერიოდში ყოველდღე აღიხარ არსენალის მთაზე, გვითხრეს ინსტიტუტში გამოცდებს ღებულობსო, მერე ავტობუსი? № 28 მარშრუტის ავტობუსი დღეში ერთხელ თუ მოვა და ავიყვანს, ისიც ლოდინის, დავიდარაბის, მზეზე მოთენთვის შემდეგ, ასე დაოსებულს კიდევ შეგწევს ძალ-ღონე და შპარგალკა რა არის, ერთ შპარგალკას ვერაფერ შემოგაპარებს.

ვაშა შენს სიმტიკცეს და მოთმინებას, ტკბილო ნიანგო!

**ჯ. ღავლიანი**



**აგხანაგო ნიანგო!**

ჩვენი გაბირება რომ იცოდე, გული აგიჩუყდება თანაგრძობით. შემოგვხვდა, კაცნი ვართ, ეგებ შენ მაინც შეხედე ჩვენს მდგომარეობაში, ეგებ დაგვეხმარო კიდევ.

საიდან შემოგჩივით? ეს ჩვენ, ლენრაიონის აღმართ-დაღმართზე მცხოვრები მუშა-მოსამსახურენი, მათი ოჯახების წევრები ვართ. ამ გაგანია დღეებში მთელ რაიონს უწყლოდ გვტოვებენ. ერთადერთი კვირა დღეა, როცა გავასხენდებით, პატივს გვცემენ და მთელი დღით წყლით გვწყალობენ. ორშაბათიდან შაბათ საღამომდე კი წვეთი რა არი, წვეთი არ ემეტებათ ჩვენი რაიონისათვის.

აბა შენ გვითხარი, აგხანაგო ნიანგო, ისეთი რა დაგვიშავებია, რომ უწყლოდ გვახრჩობენ?

**ღ. გულგულ**

**„მოსწრაბული“ კასუნი**



ნან. ჯ. ხუნუნაშვილისა

— მტვერს რომ აყენებ, მორწყვა არ უნდა?  
-- რა დროს მორწყვაა, რიგას ვეჯიბრებით!

**მეგობარო ნიანგო!**

(ბ. გომეწარი)

ღუშეთში ბერჯერ განახეთ, ამ რაიონში შემაგვალ სოფელ გომეწარში კი ფეხი არ შემოგვცდენია! ჩამოდი. რამდენ ღირსშესანიშნავ რამეს გიჩვენებთ.

აი, თუნდაც ჩვენი ეკლესია, რომელიც «შეთავსებით» სკოლის მოვალეობასაც ასრულებს (ან პირიქით): ჯგარი თავის ადგილზე აქვს და საკურთხეველი, გუმბათს ფიცარი ააგრეს, მაგრამ მის თავზე ჰკიდია მამაბაბური ზარი. ამ ზარს ვრეკავთ, როცა ვისმეს მარხავენ, ან როცა საექლესიო დღეობაა. მოწაფეებს კი ჰგონიათ—გაკეთილი დამთავრდაო. რა გულუბრყვილოები არიან!

რამდენჯერ დაგვიბრდნენ—სკოლას ავიშენებთო, მაგრამ ჩვენს განათლების განყოფილებას, შენი სიკეთისა არ იყოს, გომეწარში ფეხი არ შემოუცდება და აღმასკომი ასეთ «წვრილმან საკითხს» ხომ არ დააყენებს.

ერთხელ გვეწვიე სკოლაში, ჩვენი მასწავლებელივით «პირჯერის» დაწერა მაინც არ გინდა?

**გომეწარი**

**საყვარელო ნიანგო!**

(ზედა საქარა)

სიამოვნებით გაბატოვბ სოფელ ზედა საქარაში ჩვენი აივნიდან მთელი რაიონის მიდამო გადაგეშლება თვალწინ, ინდუსტრიული ხედი აღტაცებაში მოგიყვანს.

როგორ წინ წავიდა ეს სოფელი, იტყვი. მაგრამ თუ წვიმა შეგესწრო, ტალახი და წუმბე, აზრი უმალ შეგეცვლება. უგზოობა, უსინათლობა გაგაოცებს. რამ ჩამოარჩინა ასე თქვენი სოფელი, დაინტერესდები და ჩვენი სოფლის მესვეურების უუნარობა თვალწინ დაგიდგება. არ იფიქრო, საყვარელო ნიანგო, თითქოს ასეთ შთაბეჭდილებას მხოლოდ უამინდობა გამოიწვევს. ეს აზრი ძალაში რჩება მშრალ ამინდშიც, როცა სრულებით ავიწყდებათ, რომ სოფლის გზებს შეკეთება უნდა, სხვას რომ თავი დავანებოთ, ბავშვებმა ხომ უნდა იარონ სკოლაში, ფოსტალიონმა ხომ უნდა მოგვიტანოს წერილები. ახლა ელექტროგანათებას აღარ იტყვი, რადიოქსელს, კინოს? აი, რა ამბების მოწესრიგებაში შეგიძლია დაგვეხმარო, საყვარელო ნიანგო, თუ ჩვენს მოწვევას მაიღებ.

**3. საქარელი**




**ძეა ნიანგო!**

ისეთი ბნელი ფერებით აუწერიათ შენთვის № 28 ავტობუსის «მგზავრობა», თითქოს ჩვენი უბნის ავტობუსი ნაკლები ვაკაცობით იყოს საქები.

ეს ის № 18 ავტობუსია, რომელიც ლენინის მოედნიდან ღრმა ღელემდე მიდის. უნდა მიდიოდეს, მაგრამ ვის დაგვისახელებს ისეთი მოთმინებით განთქმულს, რომ იდგეს და 1 საათს, 1 1/2 საათს, 2 საათს უცადოს, შემდეგ, როცა გამოირკვევა—«შემთხვევით» აღარ მოვაო, არჩევს ღრმა ღელეში მოხვედრის სხვადასხვა ვარიანტს.

განა ჩვენი მარშრუტის მგზავრების წვალუნას არ უნდა მოელოს ბოლო?

**ბ. მის.**



რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კომპლექსი: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, თ. ქელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მეცხოველეობის ფაქტები სოფლის მეურნეობის  
ზოგიათი მუშაის ნაკომრებით

ნახ. ჯ. ლომუაბი

ქართული  
საბავშვო ჟურნალი




საზამთრო საძოვრები.



ერბოსა და კვერცხის დამზადება.



ცხვრის დოლი.



სახილობე კოშკი



მეფრინველეობის განვითარება